




ბიპ

ბიზნეს
ინფორმაციის
სააგენტო

წლიური ანგარიში 2016



რა არის ბია?

„ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო“ პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც ბიზნეს ინფორმაციის შექმნას, დამუშავებასა და გავრცელებას ემსახურება.

კომპანია 2002 წელს დაარსდა და 14 წლის განმავლობაში, ბაზარზე ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ბიზნეს ინფორმაციის დარგის ნოვატორმა და მზარდმა კომპანიამ. **ბია** ფლობს საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ყველაზე დიდ, მუდმივად განახლებად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ონლაინ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქართველოში ეკონომიკურად აქტიურ 25,000-მდე იურიდიულ სუბიექტზე.

ბია ქართული საწარმოების შესახებ ბიზნეს ინფორმაციას აწვდის ისეთ უმსხვილეს მსოფლიო დონის პარტნიორებს, როგორიცაა D&B (Duns & Bradstreet), Kompass, Interfax, IGK და ა.შ. ასევე, საერთაშორისო პარტნიორების მეშვეობით, სანდო ინფორმაციით უზრუნველყოფს ადგილობრივ კომპანიებს. 150 ქვეყანაში 300 მილიონ კომპანიაზე ინფორმაციის უზრუნველყოფით, **ბია** მათ უადვილებს უცხოელი პარტნიორების მოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

გარდა ამისა, კომპანია „კრედიტინფო საქართველოს“ დამფუძნებელია, რომელიც საკრედიტო ტრანზაქციების პროცესში სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის კომპანიებს საჭირო საკრედიტო ინფორმაციით უზრუნველყოფს.

2016 წლის 30 ნოემბერს, “ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო” მომხმარებლის წინაშე განახლებული ბრენდით წარსდგა. რებრენდინგის ფარგლებში, შეიცვალა ლოგო, განახლდა ვებგვერდი და მონაცემთა ბაზა, დაიხვეწა საძიებო სისტემა და დაემატა ახალი ფუნქციები.


ბიას მთავარი მიზანია, ონლაინ პლატფორმა მაქსიმალურად იყოს მორგებული მომხმარებლის ინტერესებზე. დღეს, **ბიას** საძიებო სისტემაში შესაძლებელია სასურველ კომპანიასა და პიროვნებაზე ინფორმაციის მოძიება 60-მდე კრიტერიუმის და მათი კომბინაციის საშუალებით.



მონაცემთა ბაზის განახლება

2016 წელს, **ბიას** კატალოგს დაემატა 4,661 კომპანია, განახლდა ინფორმაცია 17,418 კომპანიაზე. ამჟამად, **ბიას** ონლაინ მონაცემთა ბაზა აერთიანებს ბიზნეს ინფორმაციას საქართველოში რეგისტრირებული 31,400 კომპანიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, სულ ლიკვიდირებულია 170 ბიზნესი, რაც დამატებული კომპანიების რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებია.

* წლიური ანგარიში მომზადებულია ბიას ონლაინ ბაზაში რეგისტრირებული კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით.



განმარტებები:

კომპანიების სრული რაოდენობა – იმ კომპანიების სრული რაოდენობა, რომელიც ფიქსირდება ბიას ონლაინ ბაზაში. (იგულისხმება ფუნქციონირებადი, შეჩერებული და ლიკვიდირებული კომპანიები)

ფუნქციონირებადი კომპანია – ფუნქციონირებადია კომპანია რომელიც ახორციელებს საქმიანობას, აქვს გარკვეული წლიური ბრუნვის დიაპაზონი.


განახლებული კომპანია – კომპანია, რომელიც უკვე ფიქსირდებოდა ბაზაში და რომელზეც ინფორმაცია განახლდა 2016 წელს.

დამატებული კომპანია – კომპანია, რომელიც არ ფიქსირდებოდა ბაზაში და დაემატა 2016 წელს.

შეჩერებული კომპანია – კომპანია, რომელიც არ საქმიანობს და დეკლარაცია ნულოვანია, ბრუნვა არ უფიქსირდება.

ლიკვიდირებული კომპანია – თუ სამეწარმეო რეესტრში ფიქსირდება ლიკვიდაცია, ამ შემთხვევაში მითითებულია ლიკვიდირებული ანუ გაუქმებული.


2013 წლის შემდეგ “ბიზნეს ინფორმაციის სააგენტოს” ონლაინ კატალოგს 17,323 კომპანია დაემატა



ბიას ბაზაში ემატება მხოლოდ მოქმედი კომპანიები, რომლებსაც უფიქსირდებათ ფინანსური ბრუნვა. შესაბამისად, მომხმარებელს საშუალება აქვს დაზოგოს დრო და მოიძიოს ინფორმაცია მხოლოდ აქტიურ კომპანიებზე.

ახლადრეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა

2016 წელს, **ბიას** მონაცემთა ბაზას დაემატა 1,500 ახლად დარეგისტრირებული კომპანია, რომელთაგან 1,435 მცირე, 29 საშუალო და 9 მსხვილი ზომის კომპანიაა. ახლადრეგისტრირებული კომპანიების უმრავლესობა კატეგორიების მიხედვით არის კვების პროდუქტები (968), სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება (966).




განმარტებები:

ახლად დარეგისტრირებული კომპანია – იგულისხმება კომპანია, რომელიც იურიდიულად 2016 წელს დარეგისტრირდა და დაემატა ბაზაში.


აქტიური კომპანიები დარგების მიხედვით

ბიას მონაცემთა ბაზაში ყველაზე მეტი აქტიური კომპანია ფიქსირდება სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონების დარგში. აღნიშნულ კატეგორიაში bia.ge-ზე 5,493 ბიზნესი მოიპოვება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დროს გამოიკვეთა ოთხი კატეგორია, სადაც ყველაზე მეტი კომპანიაა გაერთიანებული. ესენია: 1) სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება, 2) კვების პროდუქტები, 3) მედიცინა, სილამაზე და სპორტი, 4) საოფისე და საოჯახო საქონელი, 5) სოფლის მეურნეობა.



კომპანიების გადანაწილება ზომის მიხედვით

ბიას ონლაინ ბაზაში არსებული კომპანიების 5% (1,132) მსხვილი კომპანიაა, 18% – საშუალო ზომის (3,796), ხოლო უმრავლესობა – 77% (16,729) მცირე ზომის კომპანიაა.



განმარტებები:

კომპანიის ზომა – განისაზღვრება წლიური ბრუნვის დიაპაზონის მიხედვით.

დიაპაზონები:


მცირე – 1-500 000 მდე
საშუალო – 500 000-5 მლნ-მდე
მსხვილი – 5 მლნ-დან ზევით

კომპანიების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

2016 წელს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების უმრავლესობა დედაქალაქში ფიქსირდება. თბილისში თავმოყრილია 13,855 კომპანია. ტოპ სამი რეგიონი კი სადაც ყველაზე მეტი ბიზნესია გადანაწილებული არის: 1) თბილისი, 2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 3) იმერეთი.


	%	რაოდენობა	
თბილისი	65,14 %	13855	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	11,38 %	2421	
იმერეთი	7,61 %	1618	
ქვემო ქართლი	3,98 %	846	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3,56 %	757	
კახეთი	3,35 %	712	
შიდა ქართლი	2,72 %	578	
გურია	0,95 %	203	
სამცხე-ჯავახეთი	0,64 %	137	
მცხეთა-მთიანეთი	0,47 %	100	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,19 %	40	
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	0,01 %	3	

ანალოგიურია კომპანიების გადანაწილება ფილიალების და სერვის ცენტრების მიხედვით. ყველაზე მეტი ფილიალი და სერვის ცენტრი გადანაწილებულია თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და იმერეთში. თბილისში არის 1,672 კომპანიის ფილიალი და 81 კომპანიის სერვის-ცენტრი. სულ **ბიას** ბაზაში ფიქსირდება 2,778 კომპანიის ფილიალი (96%) და 115-ის (4%) სერვის-ცენტრი.




კომპანიების გადანაწილება იურიდიული ფორმების მიხედვით

ბიას მონაცემთა ბაზაში არსებული კომპანიების უმრავლესობა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სულ ფიქსირდება **26,949** შ.პ.ს., რაც საერთო რაოდენობის 86 პროცენტია. დანარჩენი კომპანიები შემდეგნაირად გადანაწილდა: ინდივიდუალური მეწარმე – 7%, არაკომერციული იურიდიული პირი – 3%, სააქციო საზოგადოება 2%, უცხოური საწარმოს ფილიალი – 1%, კოოპერატივი – 1%. მონაცემები დათვლილია ბაზაში **31,280** კომპანიაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.




დღგ-ს გადამხდელი კომპანიები

მონაცემების მიხედვით, დღგ-ს გადამხდელია 12,680 კომპანია, რაც საერთო რაოდენობის 58 პროცენტია, 8,561 კომპანია კი (40%) არ არის გადამხდელი. 447 კომპანიის შემთხვევაში უცნობია, თუმცა მათი რიცხვი საერთო რაოდენობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს.




ხარისხის სერტიფიკატი

გარდა ამისა, ხარისხის სერტიფიკატს ფლობს 284 კომპანია. აქედან უმრავლესობას, 151 კომპანიას მინიჭებული აქვს ISO 9001 : 2008.




მშობელი და შვილობილი კომპანიები

ბიას მონაცემთა ბაზაში მშობელი და შვილობილი კომპანიები უფიქსირდება 2,636 კომპანიას. აქედან 63% მშობელი კომპანიაა, 37% – შვილობილი.



კომპანიების გადანაწილება დამფუძნებლის ქვეყნის მიხედვით

კომპანიების უმრავლესობის, 26,239–ის დამფუძნებლის ქვეყანაა საქართველო. ტოპ ხუთ ქვეყნებს შორის არან: რუსეთი (463), თურქეთი (389), აზერბაიჯანი (188), უკრაინა (150). რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს, მომდევნო ადგილებს იკავებს აშშ, სადაც ფიქსირდება 131 კომპანია და გერმანია 112 კომპანიით.




ტოპ კომპანიები

ბიას ონლაინ ბაზაში მოიპოვება დეტალური ინფორმაცია მომსახურე კომპანიების შესახებ. შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ნავთობ კომპანიების, მობილური კავშირების, ინტერნეტ კავშირის მომსახურების შესახებ, რომლითაც საქართველოში რეგისტრირებული ბიზნესები სარგებლობენ.

2016 წლის ტოპ კომპანიების სია, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს ონლაინ ბაზაში რეგისტრირებული კომპანიების უმრავლესობა:


ტოპ 10 ბანკი



სულ
26,971
კომპანია


ტოპ 5 მომსახურე სადაზღვევო კომპანიები

სულ
3,103
კომპანია




დაზღვევის პროდუქტები

სულ
4,253
კომპანია




ტოპ მომსახურე ნავთობ კომპანია




სულ
5,044
კომპანია

ნავთობ პროდუქტები




სულ
7,073
კომპანია

მობილური კავშირის მომსახურება




ტოპ ინტერნეტ კავშირის მომსახურება




იმპორტ-ექსპორტი

ბიას მონაცემთა ბაზა ასევე მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას იმპორტიორ და ექსპორტიორ კომპანიებზე და ბიზნეს სექტორებზე. ყველაზე მეტ იმპორტს საქართველოში ახორციელებენ კომპანიები კატეგორიიდან - სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ კატეგორიაში არსებული კომპანიების რაოდენობა აღემატება სხვა კატეგორიებში არსებულ ბიზნესებს და მონაცემები დათვლილია კომპანიების რაოდენობით და არა პროცენტულობით.

რაც შეეხება ექსპორტს, ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტი ხორციელდება კატეგორიებში - სოფლის მეურნეობა და კვების პროდუქტები. სულ ონლაინ ბაზაში ფიქსირდება 7,260 იმპორტიორი და 1,153 ექსპორტიორი კომპანია.




მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, ქართული კომპანიების უმრავლესობა იმპორტს ახორციელებს შუა აღმოსავლეთიდან, დასავლეთ ევროპიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. ექსპორტიორი კომპანიების უმრავლესობას კი პროდუქცია გააქვს კავკასიურ ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში.



კომპანიების გადანაწილება თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით


საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებში, დასაქმებულთა რაოდენობის გადანაწილება შეესაბამება კომპანიების ზომის მაჩვენებელს, სადაც 77% პროცენტი მცირე კომპანია და მხოლოდ 5% მსხვილი კომპანია ფიქსირდება.

კომპანიების უმრავლესობაში - 18,414 კომპანიაში დასაქმებულია 1–20 თანამშრომელი, რაც დასაქმებულთა 85 პროცენტია, 1,801 კომპანიაში დასაქმებულია 20–50 თანამშრომელი, 726 კომპანიაში დასაქმებულია 50–100 თანამშრომელი, 100–500–მდე თანამშრომელი ჰყავს 524 კომპანიას, ხოლო ყველაზე მცირე – 113 კომპანიას დასაქმებული ჰყავს 500–ზე მეტი თანამშრომელი, რაც სრული რაოდენობის 1 პროცენტია. მონაცემები დათვლილია **ბიას** ბაზაში რეგისტრირებულ 21,578 კომპანიაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.




გენდერული ბალანსი

რაც შეეხება გენდერულ გადანაწილებას კომპანიებში, უმრავლეს შემთხვევაში, კომპანიებში გენდერული ბალანსი არ არის დაცული და მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალი თანამშრომლების რიცხვს. გადანაწილება საშუალოდ 60% - 40%- ია. გენდერული ბალანსი დაცულია მხოლოდ 3,365 კომპანიაში, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები თანაბრად არიან წარმომადგენილი.



ასაკი


ქართული კომპანიების უმრავლესობაში – 52% (10,852) დასაქმებულთა საშუალო ასაკი 31–40 წელია, კომპანიების 29%-ში (5,944), დასაქმებულთა ასაკი 20–30 წელია, ყველაზე მცირე, 19%-ში (3,858) კი თანამშრომელთა საშუალო ასაკი 41 წელზე მეტია. მონაცემები დათვლილია **ბიას** ბაზაში რეგისტრირებულ 20,654 კომპანიაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.



კომპანიების გადანაწილება საშუალო ხელფასის მიხედვით

საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებში **მენეჯერების** უმრავლესობის საშუალო ხელფასი 200-1,000 ლარია. ხელფასის ამ დიაპაზონში ანაზღაურება აქვს 47%-ს. ხოლო ყველაზე იშვიათ 5% შემთხვევაში მენეჯერების ხელფასი 2,000 ლარზე მეტია. **ბიას** ბაზაში აღნიშნულია 1,033 მსგავსი კომპანია. გასათვალისწინებელია, რომ კომპანიების 35%-ის ხელფასი კონფიდენციალურია. მონაცემები დათვლილია 21,688 კომპანიაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.


რაც შეეხება **თანამშრომლების** ხელფასს, კომპანიების 53%-ში ყველაზე გავრცელებული საშუალო ხელფასი 100-600 ლარია. **ბიას** ბაზაში მსგავსი 11,641 კომპანია ფიქსირდება. 2,000 ლარზე მეტი დასაქმებულთა მხოლოდ 1%-ს აქვს, მსგავსი ბიზნეს კატალოგის ბაზაში სულ 200 კომპანიაა აღნიშნული. როგორც მენეჯერების ანაზღაურების შემთხვევაში, აქაც კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელფასი კონფიდენციალურია. თანამშრომლების ხელფასს კომპანიების 32% არ ასაჯაროვებს. მონაცემები დათვლილია 21,860 კომპანიაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.



კომპანიების გადანაწილება კომპიუტერებისა და ავტომობილების მიხედვით

12,000-მდე კომპანიის შესახებ მონაცემების ანალიზის მიხედვით, კომპანიების 85 პროცენტში **კომპიუტერების** რაოდენობა 1-დან 10-მდეა. **ბიას** ბაზაში მსგავსი 10,230 კომპანია იძებნება. 50-ზე მეტ კომპიუტერს 330 კომპანია ფლობს, რაც დათვლილი რაოდენობის 3%-ია.

რაც შეეხება **ავტომობილებს**, კომპანიების 84% ფლობს 1-10 ავტომობილს. 50-ზე მეტი ავტომობილი ჰყავს მხოლოდ 1%-ს. მონაცემები დათვლილია 6,231 კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.




უძრავი ქონება

კომპანიების 51% საკუთრებაში ფლობს 200 კვ.მ-ზე მეტ საოფისე ფართს, რაც გაცილებით მეტია სხვა კომპანიების რაოდენობაზე, რომლებიც საკუთრებაში ნაკლებ ფართს ფლობენ. მონაცემები დათვლილია 4,000-მდე კომპანიაზე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

განსხვავებულია მონაცემები საოფისე ფართის იჯარის შემთხვევაში. უმრავლესობა, 44% შემთხვევაში საოფისე ფართის ყველაზე მცირე მოცულობა - 50 კვ.მ-მდე მოცულობა იჯარით აქვთ აღებული. მონაცემები დათვლილია 10,000-ზე მეტი კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიხედვით.

მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპანიების უმრავლესობა საკუთრებაში ფლობს ყველაზე დიდი მოცულობის ოფისებს და კომპანიების უმრავლესობას იჯარით აქვს აღებული ყველაზე მცირე მოცულობის ოფისები.

რაც შეეხება სხვა უძრავ ქონებას, 3,363 კომპანიიდან, 69% ფლობს სასაწყობო ფართს, 20% არა სასოფლო სამეურნეო მიწას, 11% კი სასოფლო სამეურნეო მიწას.





ბია

ბიზნეს
ინფორმაციის
სააგენტო

ანგარიში მომზადებულია WWW.BIA.GE-ს მონაცემებზე
დაყრდნობით და წარმოადგენს “ბიზნეს ინფორმაციის
სააგენტოს” საკუთრებას

მისამართი: მ. კოსტავას ქუჩა 47/57
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 219 55 55
ელ.ფოსტა: info@bia.ge
www.bia.ge; www.bcat.ge